

# სხალი სარასხული

393 (1) 18 იანვარი, 2019 წ.

## მათ მოსოთი შვიის სასახუჯის შუაოჯა, შაჯაჟი აკ მოსოთი საჯაჟის შვი

ნიკოლოზ თოფურდიე ხარაგაულის მოსახლეობამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას გაიცნო, როდესაც ქვეყნის მმართველმა გუნდმა გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა დაასახელა. ერთი წლის განმავლობაში მას საშუალება ჰქონდა, ხარაგაულელთა კიდევ უფრო მეტი ნდობა მოეპოვებინა და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 67%-იანი გამარჯვებით მერის თანამდებობა დაეკავებინა.

8 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ნიკოლოზ თოფურდიემ დეპუტატებს 2018 წლის განმავლობაში განულო მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. დეპუტატების უმრავლესობამ მისი მუშაობა უარყოფითად შეაფასა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ხნის წინ საკრებულომ მერიის სამსახურების ანგარიშები დადებითად შეაფასა.

შეუსრულებელი და დაუმთავრებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების შეწყვეტა, ა(ა) იპ-ების რეორგანიზაცია, პრიორიტეტების შერჩევის დროს პერსონალური მიდგომებით ხელმძღვანელობა - ეს ის ძირითადი პრობლემები, რაც დეპუტატებმა სხდომაზე მერის მისამართით გამოთქვეს. როგორ აფასებს ამ გადამწყვეტილებას ნიკოლოზ თოფურდიე და რა არგუმენტები აქვს იმ ბრალდებებზე, რაც მისი მისამართით საკრებულოს სხდომაზე გაისმა, ამის შესახებ პირადად ვესაუბრეთ.

- მუნიციპალიტეტში ბევრი პრობლემა გადასაჭრელი და ეს დასამალი ნაბიჯი არაა, მაგრამ კინკლაობით წინ ვერ წავალთ. არ მინდა, დრო დაეხარჯოს არაფრისმოძიებამ და დეპუტატებსა და არასაქმიან მიდგომებს. ბევრი სასიკეთო სახელე დაგეგმილი ხარაგაულში უახლოეს მომავალში, რისთვისაც აუცილებელია მჭიდრო და კონსტრუქციული ურთიერთობა მერიასა და საკრებულოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თავდაუზოგავად მუშაობენ მერიის სამსახურები, არაფერ იფიქროს, რომ ჩვენ ამით კმაყოფილი ვართ. რა თქმა უნდა, მეტია საჭირო. პასუხისმგებლობას არასდროს გავუბრუნებ, ბოლომდე მაქვს გათავისებულები ის ნდობა, რაც ხარაგაულის ამომრჩევლებმა გამოიჩინეს. დავინდობ სოციალური დახმარებებით და საზოგადოებას ვაფასებ, რატომ ვერ გაიცა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. წინა წელს მოიმატა ონკოლოგიური პაციენტების მომართვიანობამ და სწორედ ამიტომ ვეღარ შევძელით ფულადი დახმარების გაცემა. იგივე სიტუაცია რომ არ შექმნილიყო, 2019 წლის ბიუჯეტში 170 ათასი ლარით გავზარდეთ სოციალური პროგრამების დაფინანსება. რაც შეეხება დაუსრულებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ეს პრობლემა მხოლოდ ხარაგაულს არ აქვს, მშენებარე კომპანიებმა ვერ შეძლეს 2018 წელს განსაზღვრულ ვადებში თავიანთი სამუშაოების შესრულება. გასული წლის ნოემბრის თვეში იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერების, ინფრასტრუქტურის სამსახურებისა და მენეჯმენტის საერთო თათბირი, რომელზეც ვიმსჯელებთ და ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მათთან ხელშეკრულებების შეჩერება მუნიციპალიტეტებს უფრო მეტ პრობლემას მოუტანდა. ტენდერებში მონაწილეობის დროს მათ აქვთ ფასები დაკლებული და ახალი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში ვერ შევძლებდით პროექტის თავდაპირველი ღირებულებით გატანას. რა თქმა უნდა, ასეთმა ვითარებამ გამოიწვია ის პრობლემები, რომ მიმდინარე 31 ინფრასტრუქტურული პროექტიდან ვადებში ყველა ვერ დასრულდა. შესრულება 2018 წელს გვაქვს 58%, მაგრამ რეალურად თითქმის 75% -ია გაკეთებული. იმედს ვიტოვებ, რომ თებერვლის ბოლოს ყველა მათგანი დასრულდება.

- დეპუტატები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი პროექტი უხარისხოდ არის შესრულებული, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

- ბრალდება, რომ უხარისხოდ სრულდება პროექტები, არის სიცრუე. არის რამდენიმე პრობლემური მონაკვეთი, რაზეც მიმართება გავზავნილია შემსრულებელ კომპანიაში, რომ დროულად მოხდეს ხარვეზების გამოსწორება. მოსახლეობამ რომ იცოდეს, საგარანტიო თანხების 2% რჩება ჩვენთან და თუ ხარვეზს არ აღმოფხვრის შემსრულებელი, შესაბამისად, თანხასაც ვერ მიიღებს. ზოგიერთი დეპუტატი პოპულისტობს, როცა ამბობს, თითქოს ჩხერის გზა უხარისხოდაა შესრულებული. ეს გზა ჩაბარებული აქვს არა მარტო მუნიციპალიტეტის, არამედ სამინისტროს მონიტორინგის სამსახურს. ასევე სრული სიცრუე მოვისმინე სალანძლოს ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატისგან, თურმე ამ ორი წლის განმავლობაში სალანძლოს ადმინისტრაციულ ერთეულში არაფერი გაკეთებულა. 2017 წელს ჩხერსა და ვანში გზების მშენებლობაზე მილიონ-ნახევარზე მეტი ლარი დაიხარჯა, რაც შეეხება სოფელ ლახუნდარის გზას, შეგიძლიათ, გადაამოწმოთ დოკუმენტაცია და ნახავთ, რომ კომპანია, რომელიც აქ ასრულებდა სამუშაოებს და რომელსაც ასევე უნდა შეესრულებინა დაბის ჩიხების რეაბილიტაცია, საკმაოდ სოლიდური თანხით არის დაჯარიმებული. ხარვეზია ასევე სოფელ საქარქელის გზაზეც, არის დამენყრილი მონაკვეთი და იმის გამო, რომ აუცილებლად მივიღებდით დაზიანებას, არ ვაპირებდით ბეტონის საფარის დაგებას. თუმცა იქ მცხოვრებთა მოთხოვნის საფუძველზე, ეს მონაკვეთიც რეაბილიტირდა. ის არსებული ბზარი არის არა იმიტომ, რომ კომპანია შეასრულა უხარისხოდ, არამედ გზის დამენყრილი ნიადაგის გამო. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქარქელში, კიციში და არაერთ სოფელში არის მოძრავი ქანები, რაც პრობლემას უქმნის არა მარტო გზებს, არამედ საცხოვრებელ სახლებსაც. ასე რომ, ჩემს ოპონენტებს, რომლებიც ბევრს საუბრობენ უხარისხოდ შესრულებულ პროექტებზე, ვურჩევ, კარგად მოიკითხოთ მიზეზები შესაბამის სამსახურებში და ის ბრალდება, რომ თურმე მერიის სამსახურებიდან ინფორმაციის გამოთხოვა არის შეუძლებელი, არის ასევე ტყუილი. სამწუხაროდ, არაერთი ტყუილი გაისმა საკრებულოს სხდომაზე მერიისა და მერის მისამართით. დამეთანხმებით ალბათ, რომ ტყუილი და ცილისწამება არის უპატიველი ცოდვა და თუ ადამიანი ძალიან ძლიერი არ არის, ცილისწამებით შეიძლება ცხოვრება დაეგზავნოს. ჩვენ ვერ ავყვებით მათ, ვინც ცხოვრობენ და იბრძვიან ამ ბინძური მეთოდებით. არაფერ უარყოფს, რომ არის პრობლემები და ხარვეზები. გამოუსწორებელი არაფერია, ჩვენ სწორედ ამიტომ ვმუშაობთ, რაც შეიძლება ნაკლები პრობლემა იყოს მუნიციპალიტეტში. უხარისხოდ შესრულებულ პროექტებს არ ვიბარებთ. თუ ხარვეზები იქნება, შემსრულებელს ახლიდან მოუწევს სამუშაოების განხორციელება.

- ბოლო პერიოდში მუდმივად ვისმენთ, რომ არ აშენდა დაანონსებული საბავშვო ბალები სალანძლოსა და ვერტყვიჭალაში. იქნებ მოსახლეობას დეტალურად აუხსნათ, რის გამოც მოხდა ამ პროექტების დროებითი შეჩერება?

- ვერტყვიჭალაში ვერ დაიწყო ბალების მშენებლობა აუტობანის მშენებლობის გამო, რადგან არსებული პროექტი ხვდებოდა ნითელ ზოლში. ამის შესახებ მოსახლეობას და ბალების თანამშრომლებს ინფორმაცია აქვთ და იციან ზუსტი მიზეზები. რაც შეეხება სალანძლოს ბალებს, როდესაც გავხსნი ვადებელი, მოვიდა ჩემთან სალანძლოს მაჟორიტარი დეპუტატი და მითხრა, რომ აუცილებელი იყო ამ თემში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აგება. მაშინვე დაუუკავშირდი მუნიციპალური განვითარების ფონდს, დონორიც მოვიძიეთ და საქმეს მსვლელობა მივეცი, მაგრამ აღნიშნული ბალების პროექტი, რომელიც დამხვდა შექმნილი, იყო ხარვეზიანი და მალევე უკან დაგვიბრუნეს. მინდა, საჯაროდ განვაცხადო, რომ 2019 წელს, როგორც სალანძლოში, ასევე ვერტყვიჭალაში აშენდება ახალი საბავშვო ბალები. უხარისხოდ პროექტის გამო ამ დრომდე ვერ მოხდა ღირებულება - ზაზაღეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ჩვენი ინიციატივით, ზაფხულში ჩამობრძანდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ბატონი გიორგი შენგელია, დეტალურად დავთავაზიერეთ ეს გზა და მან მყისიერად გასცა განკარგულება პროექტის ხელახლა შექმნაზე. ნოემბრის თვეში პროექტი შეიძინეს და მშენებლობა დაიწყო მარტის თვიდან.

- საუბარია, რომ თქვენ პროექტების შერჩევისას პერსონალური მიდგომებით ხელმძღვანელობთ და ამ პროცესში დეპუტატები არ არიან ჩართული.



-მე, პირადად, ვცხოვრობ ხემაღალში. ჩემს უბანში ცხოვრობს 27 ოჯახი და დღემდე იქ გზა არაა. 2017-2018 წლებში 13 მილიონი ლარი დაიხარჯა გზების რეაბილიტაციაზე და შემდგომ, ჩემი სოფლის გზაც გამეკეთებინა, მაგრამ ასე არ მოვიქცევი, რადგან არ მინდოდა, ნებისმიერ სოფელში მცხოვრებ მოქალაქეს დასწყვეტოდა გული. ასე რომ, მაგ ბრალდებას, თითქოს პირადად ვწყვეტ - სად რა გაკეთდეს, არ მივიღებ. ვუსმენ მოსახლეობას, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მაჟორიტარ დეპუტატებს და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით ერთობლივად ვარჩევთ პრიორიტეტებს. იმ ბრალდებას, რომ მე ურთიერთობების, გუნდურობის პრობლემას ვქმნი, ვერ მივიღებ. ასე საქმე ნამდვილად ვერ წავაწინ. დანაშაულის მუდმივად გადაბრალდება სხვებზე, არ მოგვცემს იმ შედეგს, რისთვისაც ვიბრძვი.

- როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც დეპუტატებმა უარყოფითად შეაფასეს თქვენი მუშაობა, ეს კი იმ ფონზე, როცა მერიის სამსახურების მუშაობას დადებითად აფასებენ.

- ვმუშაობ და ყველა ნაბიჯს ჩემი ამომრჩევლის ინტერესების გათვალისწინებით ვდგამ. შემოვიყვანე ახალგაზრდა კადრები საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ეს ადამიანები არიან პროფესიონალები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მინდა, მოსახლეობამ იცოდეს, რომ საკრებულოს მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი იყო მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ინტერესი. მათ მოსწონთ მერიის სამსახურების მუშაობა, მაგრამ არ მოსწონთ ნიკო თოფურდიე. დამინუნეს მენეჯმენტი, მაგრამ ამას ახსნა სჭირდება, თუ როგორ ხდება მენეჯერისა და სწორი მენეჯმენტის გარეშე სამსახურების წარმატება. რაც მოხდა საკრებულოს სხდომაზე, რომელიც სრული დარღვევებით წარმართა, თავად ხალხმა და ჩვენმა ამომრჩევლებმა განსაჯონ. ჯანსაღი კრიტიკა თანამშრომლებს შორისაც აუცილებელია, მაგრამ ის ფორმა, როგორცაა რამდენიმე ადამიანი მიპირისპირდება, კარგ შედეგს ნამდვილად არ მოგვცემს. ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს თუ არ მოსწონს ხარაგაულის მერის მუშაობა, ეს არ ნიშნავს, რომ ამომრჩევლებს იმედები გავუცრუე, დღეს რაც ხდება საკრებულოსა და მერს შორის, ამის ინიციატორი მე ნამდვილად არ ვარ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ საკრებულოსა და მერს შორის დაწყებული კონფლიქტის მთავარი მიზეზი ნაკლები კომუნიკაციაა?

- დასამალი არაფერი არ არის. წარსულში ხარაგაული არ დაბრუნდება. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ. ვერ დავუშვებ დესტრუქციას და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ჩვენს მუნიციპალიტეტში. ის ბრალდება, რომ საკრებულოს არ ვეთანამშრომლებთ, გახლავთ დიდი ტყუილი. ვერ ნახავთ ისეთ დეპუტატს, ვინც იტყვის, რომ რაიმე კონკრეტული საკითხით მომმართა და არ დავეხმარე. დეპუტატების გარკვეული ნაწილის პრეტენზიებს, რომ მათს ადმინისტრაციულ ერთეულში არის პრობლემები და გასაკეთებელი ბევრია, ვეთანხმები. არასდროს მითქვამს, რომ ყველაფერს ვეღარ ვხედავ.

- რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების გათავისუფლება დეპუტატებმა გააპროტესტეს. რამ განაპირობა საკადრო ცვლილების განხორციელება?

- სამსახურიდან არაფერ გამოთავისუფლება ჩემი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. რამდენიმე წარმომადგენელს, რომელსაც დაუმთავრდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადები, აღარ გავუგრძელებთ ხელშეკრულებას. მათ ადგილას დაგინიშნეთ ხალხისთვის მისაღები კადრები. მერის წარმომადგენელი უნდა იყოს ხალხის რჩეული, ხალხის მსახური და არა ის ადამიანი, ვინც იღებს ხელფასს და არ იცის, ვერ აცნობიერებს, რა ევალება. ვცდილობ, ყველაფერს მცოდნე და კომპეტენტური თანამშრომლები გვყავდეს. მადლობელი ვარ თითოეული მათგანის, ვინც მიიღო ჩემი შეთავაზებული წინადადება და დღეს საკმაოდ წარმატებულად მუშაობენ. ეს ადამიანები არიან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალი და ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ მათს შემართებას, მონაწილეობას, საქმისადმი თავდადებულ დამოკიდებულებას, რაც ნამდვილად იძლევა იმედს, უკეთესი ხვალისდელი დღისას.

- უკმაყოფილოა დაბის მაჟორიტარი დეპუტატი და ამბობს, რომ თქვენი მმართველობის პერიოდში დაბაში არც ერთი დაგეგმილი პროექტი არ განხორციელდა.





